



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080143223765019

№ 2501

30 / მაისი / 2019 წ.

**შპს „ბერიკას“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ**

**შემსყიდველი ორგანიზაცია:** ქარელის მუნიციპალიტეტის მერია;

**ტენდერების ნომრები:** NAT190006644 და NAT190006646;

**შესყიდვის ობიექტი:** 45100000 – სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები;

**პრეტენდენტი:** შპს „ბერიკას“ (ს/ნ: 416344478);

**წერილობითი შეტყობინების საფუძველი:** ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა.

**აღწერილობითი ნაწილი**

**1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება**

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 25 აპრილს წარმოდგენილ იქნა ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 25 აპრილის № 08/7030 და № 08/7031 წერილობითი შეტყობინებები (რეგისტრაციის № 4590 და № 4591), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა NAT190006644 და NAT190006646 ელექტრონული ტენდერებიდან პრეტენდენტის – შპს „ბერიკას“ (ს/ნ: 416344478) დისკვალიფიკაციის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

1.2. სააგენტომ შპს „ბერიკას“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის [berikaberika700@gmail.com](mailto:berikaberika700@gmail.com) მეშვეობით, 2019 წლის 30 აპრილის №1650 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეებზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. 2019 წლის 8 მაისს შპს „ბერიკამ“ წარმოადგინა განმარტება (რეგისტრაციის № 4961) ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენასთან დაკავშირებით.

**2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია**

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მის მიერ სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოების (CPV45100000) შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ NAT190006644 და NAT190006646 ელექტრონულ ტენდერებში მონაწილე პრეტენდენტმა – შპს „ბერიკამ“ (ს/ნ: 416344478) ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, კერძოდ, სატენდერო კომისიამ დაადგინა, რომ პრეტენდენტის მიერ წარდგენილი № 190427395 მინდობილობის რეგისტრაციის თარიღი (11.04.2019) არ შეესაბამებოდა საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებგვერდზე ([notary.ge](http://notary.ge)) გადამოწმებული, იმავე სანოტარო აქტის რეგისტრაციის თარიღს – 18.04.2019. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სატენდერო კომისიის 2019 წლის 24 აპრილის №3 სხდომის ოქმებით, შპს „ბერიკას“ მიეცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

### 3. პრეტენდენტის პოზიცია

პრეტენდენტის განმარტებით, მან შეცდომით ატვირთა არასწორი დოკუმენტი. მან ასევე აღნიშნა, რომ კომპანია ეკუთვნის კახაბერ კინწურაშვილის დედას, თუმცა კომპანიას რეალურად ხელმძღვანელობს კახაბერ კინწურაშვილი. ამდენად, არასწორი დოკუმენტის ატვირთა ვერ იმოქმედებდა დამდგარ შედეგზე.

### 4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2019 წლის 2 აპრილს ქარელის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა NAT190006644 და NAT190006646 ელექტრონული ტენდერები სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოების (CPV45100000) შესყიდვის მიზნით.

4.2. NAT190006644 და NAT190006646 ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობა მიიღო შპს „ბერიკამ“ (ს/ნ: 416344478).

4.3. სატენდერო კომისიის 2019 წლის 17 აპრილის №2 სხდომის ოქმებით პრეტენდენტს მოითხოვა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება, მათ შორის, კომპანიის დირექტორის – ნაზიმბოლა კინწურაშვილის მიერ კახაბერ კინწურაშვილზე გაცემული მინდობილობის წარდგენა. ამასთან, NAT190006644 ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, მინდობილობა გაცემული უნდა ყოფილიყო არაუგვიანეს 2019 წლის 16 აპრილისა, ხოლო NAT190006646 ტენდერის შემთხვევაში – არაუგვიანეს 2019 წლის 15 აპრილისა.

4.4. 2019 წლის 19 აპრილს პრეტენდენტმა NAT190006644 და NAT190006646 ელექტრონულ ტენდერებში ატვირთა 2019 წლის 11 აპრილის №190427395 მინდობილობა.

4.5. სატენდერო კომისიამ 2019 წლის 24 აპრილის № 3 სხდომის ოქმებით დაადგინა, რომ როგორც საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებგვერდზე ([notary.ge](http://notary.ge)) ინფორმაციის გადამოწმების შედეგად გაირკვა, პრეტენდენტის მიერ წარდგენილი №190427395 მინდობილობის რეგისტრაციის თარიღი იყო არა 2019 წლის 11 აპრილი, არამედ 2019 წლის 19 აპრილი.

4.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სატენდერო კომისიის 2019 წლის 24 აპრილის №3 სხდომის ოქმებით, შპს „ბერიკამს“ მიეცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

### სამოტივაციო ნაწილი

### 5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეკერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ბერიკამ“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

### 6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

### 7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ იგი დისკვალიფიცირებულია ტენდერიდან ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეკერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ იგი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩადენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

7.4. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის თანახმად, აფიდავიტი წარმოადგენს წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერილი ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობისთვის. ამასთან, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების დანართის №1-ით დამტკიცებული აფიდავიტის ფორმისა და პირობების მიხედვით, გამოცხადებულ ტენდერში/კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ მას არ წარუდგენია მცდარი ინფორმაცია, რაც იყოფა ან უნდა სცოდნოდა პრეტენდენტს, ხოლო აფიდავიტის პირობების დარღვევის შემთხვევაში, იგი მიიღებს დისკვალიფიკაციას ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

7.5. სააგენტო ვერ გაიზიარებს პრეტენდენტის განმარტებას, რამდენადაც დგინდება, რომ მის მიერ NAT190006644 და NAT190006646 ელექტრონულ ტენდერებში წარდგენილი მინდობილობის თარიღი იყო შეცვლილი, რათა პრეტენდენტს დაეკმაყოფილებინა სატენდერო კომისიის 2019 წლის 17 აპრილის № 2 სხდომის ოქმებით დადგენილი მოთხოვნა მინდობილობის გაცემის თარიღის შესახებ. ამდენად, მან ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, კერძოდ, დაარღვია აფიდავიტის პირობები, რის გამოც არსებობს შპს „ბერიკას“ შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუ დადგინდა, რომ პრეტენდენტმა/მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, იგი ექვემდებარება შავ სიაში რეგისტრაციას და მის მიმართ გაფრთხილება არ გამოიყენება.


7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან დგინდება, რომ შპს „ბერიკამ“ NAT190006644 და NAT190006646 ელექტრონულ ტენდერებში ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება. შესაბამისად, შპს „ბერიკა“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

**სარეზოლუციო ნაწილი**

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით და დაადგინა:

- 1. შპს „ბერიკა“ (ს/ნ: 416344478) 2019 წლის 31 მაისს დარეგისტრირდეს შავ სიაში და მის შესახებ რეესტრში გაკეთდეს 2 სარეგისტრაციო ჩანაწერი.
- 2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
- 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე